პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 21 აგვისტო, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 33 (244). ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ჩვენი ძალ-ღონე საშოგლოს დაცვის საქმეს!

მეტად სერიოზულ დაძაბულ დღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. სისხლით დამთვრალი მტერი, ჰკარგავს რა აურაცხელ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ჯერ-კიდევ არ ერიდება არავითარ ძსხვერპლს და მოიწევს წინ სამხრეთისაკენ. ყველგან, სადაც კი სისხლიანი ურჩხული ახერხებს წინ წამოწევას, ძას თან მოაქვს სიკვდილი და გახადგურება; მისი უწმინდური ჩექმა სთელავს ჩვენი ქვეყნის ყანებსა და ბაღ-ვენახებს, სოფლებსა და ქალაქებს, ძტერი ხანძრის ცეცხლში ხვევს ჩვენი ხალხის ოფლით შექმნილ დოვლათსა და სიმდიდრეს.

მაგრამ მტერი ვერავითარი სისასტიკით ვერ შესძლებს აღძრას ჩვენს ხალხში შიში ან მორჩილების გრძნობა. ამით იგი მხოლოდ კიდევ უფრო მეტად აღვივებს ყოველ საბჭოთა მოქალაქეში განუსაზღვრელი სიძულვილისა და შურისგების გრძნობას.

განუზომელად გაიზარდა საფრთხე: ფაშისტ გარეწართა ურდო უახლოვდება კავკასიონის ქედს და აძალად უშუალოდ ემუქრება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, მაგრამ რა ძრისხანეც არ უნდა იყოს ეს საფრთხე, საბჭოთა ხალხს იგი ვერ გასტეხს. განსაცდელს არასოდეს არ დაუძაბუნებია და სულიერად არ დაუცია **ლენინ-სტალინის** პარტიის ბრძოლის ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა ადამიანები, პირიქით, იგი ყოველთვის აათკეცებდა ჩვენი ხალხის საბრძოლო ნებისყოფას. სწორედ დროულად და ჩვენი მრისხანე ვითარების შესაბამისად გაისმის დღეს დიდი რუსი ტრიბუნის, უდიდესი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის სიტყვები, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინად თავის მოწინავე წერილში მოიყვანა გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“: „ხალხის სულისკვეთება მუდამ დიდი და უძლეველია. განსაცდელის წუთებში, როცა სულმოკლენი პირქვე ემხობიან, ხალხის სულისკვეთება იღვიძებს, როგორც ლომი, მონადირეთაგან გარსშემორტყმული, მრისხანედ არხევს თავის ფაფარს და საშინელი ღმუილით თავზარს სცემს თავის მტრებს“.

ამ მრისხანე ლომს, მტრის ურდოების დასაღეწად ფაფარაყრილ ლომს, ჰგავს დღეს ჩვენი სამშობლო. რაც უფრო იზრდება საფრთხე, მით უფრო მრისხანე ხდება იგი. **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ აღზრდილი, საბჭოთა ხალხთან განუყრელი, ჭირსა და ლხინში თავის ხალხთან მყოფი საბჭოთა მწერლობა დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა იყოს საბჭოთა ხალხის საბრძოლო სულისკვეთების, მისი მრისხანების, მტრისადმი მისი წმინდა სიძულვილის გამომხატველი. საბჭოთა მწერალი დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოწოდებულია აღვივოს და აგიზგიზოს საბჭოთა მოქალაქეში დაუცხრომელი მძულვარება ფაშისტ არამზადებისადმი, რომლებიც არ ინდობენ ჩვენი ბავშვებისა და ჩვენი დედების სიცოცხლეს, რომლებიც ბილწავენ მათ პატიოსნებას და ადამიანურ ღირსებას. საბჭოთა მწერალი დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა აღვივებდეს ყველა ძოქალაქეში იმის შეგხებას, რომ „ან ჩვენ ძოვსპობთ გერმანელ ოკუპანტებს, ან გერმანელები მოგვსპობენ ჩვენ. არავითარი სხვა გამოსავალი არ არსებობს... დახანაულებრივია ყოველგვარი უდარდელობა. მეომრისათვის უსასტიკეს ბრძოლაში არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი საიმედო ღონისძიება სიცოცხლის შესახარჩუნებლად — ეს არის მტრის მოსპობა. მთელი საბჭოთა ხალხისათვისაც არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი გზა თავისი სიცოცხლის, თავისუფლების, თავისი ღირსებისა და ძომავლის გადასარჩენად. ეს არის მტრის ძოსპობა! ამისათვის კი საჭიროა მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი ძალღონე ძოვახმაროთ მთლიანად საშშობლოს დაცვის საქმეს, ძოვახმაროთ ფრონტს. მთელი ჩვენი ყოველდღიური შრომა გავძსჭვალოთ ძტრისადმი სიძულვილით“ („პრავდა“).

დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შწერალი უნდა იყოს აქტიური, როგორც შემოძქედი და როგორც ძოქალაქე. ძხნობა, სიმტკიცე, გამარჯვების ურყევი რწმენა უნდა შეჰქონდეს ძის სიტყვას ყველგან, გაზეთში იქნება იგი დაბეჭდილი თუ საჯაროთ წარმოთქმული. ეს სიტყვა გაჟღენთილი უნდა იყოს იმ უძლეველი, შეურყეველი ხალხური სულისკვეთებით, რომელზედაც ლაპარაკობს ბელინსკი, და რომელსაც ასეთი სიძლიერით გამოხატავს ჩვენი არმიის მეომართა ლეგენდალური გმირობა და სიმამაცე. ეს სიტყვა გაძსჭვალული უნდა იყოს იმედით, რომელიც ეძყარება საბჭოთა ხალხის დაუშრეტელ მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობას, მის წარსულ და ახლანდელ საბრძოლო გამოცდილებას.

ჩვენი არმიის საარაკო გმირობამ შეაჩერა მტერი ლენინგრადთან, ჩვენი არმიის ლეგენდალურმა სიმამაცემ გაანადგურა და უკუაქცია მტრის დაჯავშნული ურდოები მოსკოვის მისადგომებთან, ჩვენი არმიის გაუტეხელმა სიმტკიცემ შეაჩერა მტერი ვორონეჟთან. იგივე მოხდება კავკასიის ქედის მისასვლელებთან, იგივე მოხდება სტალინგრადის მისადგომებთან. მტერი უკუქცეული და საბოლოოდ განადგურებული იქნება.

ამ რწმენასა და იმედს უნდა შთაგონებდეს დღეს საბჭოთა მკითხველს მწერლის სიტყვა.

◇◇◇

არ გადმოდგათ ნაბიჯი უკან

ალ. სურკოვი

ალმოსავლეთის დაარბია ისევ საზღვარი,
და გერმანელთა შავი ურდო მოდის საზარი,
მოდის ქვეითი—და ავარდა მიწაზე მტვერი,
დონის ყამირებს აკვნესებენ ტანკების კვერნი,
მყუდრო სოფლებში, სტანიცებში ისმის გოდება,
ნახანძარებზე ნაცარი და ფერფლი გროვდება,
დაინგრა ქოხი, ბაღში ჩანგი აღარსად უკრავს.
ხელში მახვილი!
არ გადმოდგათ
ნაბიჯი უკან!
ნუთუ ყანაში მიტოვ ღვარე სისხლი და ოფლი,
რომ გერმანელთა ოკუპანტებს დარჩეთ ნაყოფი
სასახლეების ნუთუ მიტოვ იყო მზადება,
რომ დღეს უწყალოდ დაანგრიონ არამზადებმა?!
ნუთუ არ გესმის დედამიწის აგუგუნება
ბალახი და ხე შარიშურით რომ გეუბნება:
— ქვეწარმავალი ნეღარ სთელავს ქუჩას და შუკას
ხელში მახვილი!
არ გადმოდგათ
ნაბიჯი უკან!
მათ შეეგება, რომ მოდიან რკინის ხმაურით,
გადაეღობე გაუვალ კლდედ, იძიე ჩაური,
ადექ მრისხანე, რადგან გიყვარს საშშობლო შენი,
არ არის ძალი, უფრო მეტი, გამტეხი შენი.
დაჭკარ და სიკვდილს გადაუგდე დუშმანი ლუკმად.
ამხანაგებო!
არც ერთი ბიჯი
არ წადგათ უკან!
არც დღე, არც ღამე აღარ მისცე მტერს მოსვენება,
გასრისე ტანკით, აღარ დარჩეს მისი ხსენება,
ხიშტზე ააგე, ხელყუმბარით გაანადგურე
რომ მისი სისხლი მოესხეროს, ტალახს აგურებს,
მოსპე, მტრის ჯიში არ გაღდურჩეს მტკიცე მარჯვენას...
წინ წახვალ მაშინ.
მოიპოვებ
იქ გამარჯვებას.

მთარგმნელი **მიქელ პატარიძე.**

ინგლისი და საქართველო

(კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან)

ლევან ასათიანი

შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდანვე ქართული საზოგადოებრივი აზრი, პრესა, მწერლობა დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს დასავლეთ ევროპის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებას. ევროპის ქვეყნებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოში იმ თავითვე იწვევს ინგლისი და ინგლისური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება.

საინტერესოა თვით შეერთებულ სამეფოს სახელწოდების ცვლა და გაცნობის პირველი ეტაპები ქართულ პრესაში. თავდაპირველად ხმარებაშია პირდაპირ რუსული გამოთქმა „ველიკობრიტანია“ (1861 წ.), შემდეგ „დიდი ბრიტანია“ (1869), მერე „ინგლიზეთი“ (1874) და, ბოლოს, ილია ჭავჭავაძეს თავის ეურნალ „ივერიაში“ (1877) საბოლოოდ შემოაქვს ტერმინი „ინგლისი“, რაც საყოველთაო აღიარებას პოულობს და სამუდამოდ რჩება ხმარებაში.

ქართული ეურნალები, „ცისკრიდან“ მოკიდებული. შეძლებისდაგვარად საკმაო ყურადღებას აქცევენ ინგლისის ეკონომიურ და კულტურულ ვითარებას, მის მწერლობას და ხელოვნებას.

ჯერ კიდევ 1861 წელს „ცისკარი“ აქვეყნებს ვინმე ა. ჩხეიძის სტატიას „ბუნებითი სიმდიდრე ველიკო ბრეტანიისა“. დაშახასიათებელია აგრეთვე ამ მხრივ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ეურნალების სტატიებიც: „დიდი ბრიტანიის მეურნეობა“ („სასოფლო გაზეთი, 1869), „ინგლიზეთის საკოროლო მხვნელ-მთესველობითი საზოგადოების გამოფენა“ („აგუთნის დედა“, 1874 წ.), „რამოდენა ხილი გაავქთ ინგლიზეთში“ („აგუთნის დედა“, 1876 წ.) და სხვ.

ილია ჭავჭავაძემ თავის „ივერიაში“ უდიდესი ყურადღება მიაქცია ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს და ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას ამ სფეროში ფაართად აშუქებდა ქართველი მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ და საგულისხმოდ. „ივერიის“ დაარსების პირველსავე წელს (1877) ერთ-ერთ ნომერში ეურნალი ბეჭდავს ცნობებს ქალთა უმაღლესი განათლების შესახებ ლონდონში. იმავე წელს თვით ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს სათაურით: „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“ (№ 16). ამის შემდეგ ილია არაერთხელ უბრუნდება ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებას და თავის ცნობილ მიმოხილვებსა და ნარკვევებში იძლევა ღრმა და გაშჭრიახ ანალიზს ინგლისის ეკონომიური და პოლიტიკურ ვითარებისას. ილიას ნაწერებიდან აღენიშნავთ ისეთ დამახასიათებელს, როგორიც არის, მაგალითად, 1886 წელს დაწერილი საისტორიო და საეკონომიო ნარკვევი „ირლანდია და ინგლისი“. უდიდეს ინტერესს შეიცავენ აგრეთვე ილიას მიმოხილვები, როგორც, მაგალითად, „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“ (1886 და 1889 წ. წ.), „ევროპა 1886 წელს“ (1886), „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“ (1895) და სხვ.

ილია ძალიან მაღალი წარმოდგენისა იყო დემოკრატიულ ინგლისზე, „რომელსაც სახელმწიფო მოძღვრებად აღიარებული აქვს თვითმმართველობა ერისა და რომელსაც ეგ თვითმმართველობა ყოველის საზოგადოებრივის წყლულის წამლად მიაჩნია დღესაც“ („მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე ევროპაში“, 1886 წ., ტ. 10, გვ. 228). საინტერესოა, რომ ინგლისის თავისუფლებისმოყვარე ხალხის ამ დემოკრატიულ რეჟიმს ილია მკვეთრად ანსხვავებს მისთვის მიუღებელი ბისმარკის გერმანიის საშინაო სოციალ-პოლიტიკური რეჟიმისაგან. „სულ სხვა საფუძველს ადგა (მუშათა საკითხში,—ლ. ა.) ბისმარკი, — სწერს ილია იმავე სტატიაში. — მისის აზრით, ყოველივე სახელმწიფოს ძლიერს ხელში უნდა იყოსო, ყოველივე მის ინტერესებს ქვეშ უნდა ამოუდგესო. სახელმწიფო ინტერესი ითხოვს — მუშათა ხალხი მის ხელთ იყოს და ყოველთვის მისი შემყურებელი“...

ილია სათანადოდ აფასებდა ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეების წინდახედულებას და ფრთხილ საგარეო პოლიტიკასაც. ჩვენი ფიქრითო,—აღნიშნავს ილია მეორე წერილში,— „ტყეულად სცემენ კიევინს ინგლისსა; ინგლისს თავის სვე-ბედის თავში იმისთანა კაცები ჰყოლია და დღესაც ჰყავს, რომ ისინი ისე ადვილად არ შესცდებიან, რომ ჩვენისთანა კაცებმა შეცდომა გაუსწორონ. ინგლისმა კარგად იცის, რას მოქმედობს და რას ეტანება, იგი არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და სახტომი თავის ღონეს არ შეუწონოს“ („ახლო აღმოსავლ. და ინგლ. დღევ. პოლიტიკა“, 1895 წ., ტ. 10. გვ. 167).

საინტერესოა, რომ ინგლისელი ხალხის შრომისმოყვარეობას, ინიციატივას და ეკონომიურ-სამრეწველო წარმატებას ილიას მსგავსადვე სამაგალითოდ სახავდა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მეორე მესვეურიც—აკაკი. ლექსში „სხვადასხვა ერი“ აკაკი, ეხება რა ინგლისელებს, ასეთ სტრიქონებს უძღვნის მათ:

„მთები გახვრიტეს, კლდე აპეს,
ზღვა ზღვას შეუერთეს არხითა
და ააბრუნეს ქარხნები
სხვადასხვა გვარის ჩარხითა;
ამართეს დროშა მუდამ,
ზედ ეს დასწერეს სიტყვები:
„მხოლოდ შრომა და ვაჭრობა,
სხვას ქვეყნად არას მივყვები!“

საინტერესოა, როგორი გამოვლინება ჰპოვა ქართველ მწერლებში ინგლისურმა ლიტერატურამ მე-19 საუკუნის მანძილზე? როგორი იყო გავლენა ინგლისური პოეტური გენიისა ქართველ მგოსნებზე?

აქ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ბაირონის გავლენა მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართველ პოეზიაზე. ყველაზე დამახასიათებლად ბაირონიზი გამოვლინდა ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. „დაწყევლილი ყრმის“ მთელი შემოქმედება გამსჭვალულია „ჩაჰილდ ჰაროლდის“ გენიოსი ავტორის სულისკვეთებით და საერთო განწყობილებით, ბაირონის პოეზიის მძლავრი გავლენა ასულდგმულებდა ნ. ბარათაშვილის თაობის სხვა პოეტებსაც. ცნობილია, მაგალითად, ნ. ბარათაშვილის მეგობარი პოეტის მიხეილ თუმანიშვილის ერთი ლექსი „უდაბნო“, რომელიც ასეთ ქვესათაურს ატარებს: „მიბაძვა ბაირონისა“.

ბაირონის ლექსების პირველ ნაბეჭდ ქართულ თარგმანს ჩვენ ვპოულობთ ჯერ კიდევ ი. კერესელიძის ეურნალ „ცისკარში“. პირველი ავტორი, რომელმაც პრესის საშუალებით გააცნო ქართველ მკითხველ საზოგადოებას ბაირონის სახელი, იყო ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. 1859 წელს ის ბეჭდავს „ცისკარში“ ბაირონის ლექსს, ებრაული მელოდიების ციკლიდან, სათაურით „სტიროდეთ“. ეს ლექსი სტუდენტ ილიას ჯერ კიდევ წინა წელს ჰქონდა ნათარგმნი პეტერბურგში. ბაირონის პირველ მთარგმნელთა რიცხვს ეკუთვნის აკაკი წერეთელიც. 1865 წელს „ცისკარშივე“ იგი ბეჭდავს ბაირონის ლექსს „იეფთაის ასულს“ თარგმანს, აკაკის ამ თარგმანს არ ასცდა ჩვეულებრივი ზედური „ცისკარში“ დაბეჭდილი სხვა ავტორებისა: მისი თარგმანი, კერესელიძის რედაქტორული დაუდევრობისა თუ უცოდინარობის წყალობით, დაიბეჭდა კურიოზული კორექტურული შეცდომით: „იეფთაის ასულს“ ნაცვლად სათაურად გაშვებული იყო „იეფი ფასის ასული“, საეჭვოსმოა ის გარემოება, რომ ილიაც და აკაკიც, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები, ბაირონის ნაწერებიდან სათარგმნელად არჩევდნენ ისეთ ლექსებს, რომლებიც პატრიოტული გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი და ეროვნულ-რევოლუციური იდეურობის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ბაირონის სხვა მთარგმნელთა შორის მე-19 ს. მეორე ნახევარში აღსანიშნავენი არიან მამია გურიელი, ოს. ბაქრაძე, ანტ. ფურცელაძე, ნ. ლომოური და სხვ. „ჩაჰილდ ჰაროლდიდან“ ცალკეული ლექსები პირველად ი. ბაქრაძემ სთარგმნა, ხოლო ნაწყვეტი პოემა „ვიაურიდან“—მამია გურიელმა. როგორც დამახასიათებელი მოვლენა იმ დროისათვის, აღსანიშნავია, რომ ამ ნაწყვეტში მთარგმნელს ეროვნულად დაჩაგრული საბერძნეთი შეცვლილი აქვს საქართველოდ.

მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს ქართველ მწერლებს შორის მუდამ იწვევდა ინგლისური პოეტური გენიის დიადი გვირგვინის შექსპირის შემოქმედება. შექსპირიანას საქართველოში თავისი მეტად დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც მოითხოვს ცალკეულ შრომას. ამ ნარკვევში დავემყაფილდებით მხოლოდ მოკლე მიმოხილვით. შექსპირის ბრწყინვალე სახელი საქართველოში პირველად 1858 წელს გამოჩნდა. ამ წელს „ცისკრის“ ნომერში იბეჭდება „ჰამლეტი. პრინცი დანიისა“. მისი თარგმანი ეკუთვნის „მეჯღანუაშვილის“ ავტორს ლავრენტი არდაზიანს, მაგრამ შექსპირის პირველ ქართველ მთარგმნელად მაინც უნდა ჩაითვალოს დიმიტრი ყიფიანი. ჯერ კიდევ 1841 წელს ნ. ბარათაშვილი სიხარულით სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ქარგი თარგმანი იშოვა, კიპიანმა გადმოთარგმნა რომეო და ეულიეტა. შექსპირის ტრაედია“. ეს თარგმანი დაიბეჭდა 1859 წელს „ცისკარშივე“ მეტად საგულისხმო ქვესათაურით: „ანგლიურიდამ ფრანცუზულს ენაზე ახლად გადმოღებული ბეეკვენ ლარონშისაგან და პარიზში დაბეჭდილი 1856 წელსა. ფრანცუზულიდამ ქართულს ენაზე ხელახლად გადმოღებული 1859 წელსა დიმ. ყიფიანისაგან“. უნდა ვიფიქროთ, რომ დ. ყიფიანს, რომელმაც ინგლისური ენაც იცოდა, თავისი ადრინდელი თარგმანი დასაბეჭდავად მიეცემის წინ კიდევ შეუდარებია უახლოესი ფრანგული თარგმანის ტექსტთან. დიმიტრი ყიფიანმა ინგლისურიდან სთარგმნა აგრეთვე შექსპირის სხვა ტრაგედიებიც: „ორი ვერონეცი აზნაური“ (დაიბეჭდა 1867 წ. „ცისკარში“) და „ვენეციელი ვაჭარი“ („ნათობი“, 1872 წ.).

ეურნალი „კრებული“ 1872 წელს განსაკუთრებულად აღნიშნავდა შექსპირის პირველი მთარგმნელის დიმ. ყიფიანის ღვაწლსა და დამსახურებას (№ 8-9).

აქვე, სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცისკარმა“ 1865 წლის პირველ წიგნში სპეციალური წერილით აღნიშნა შექსპირის დაბადებიდან სამასი წლის შესრულების საიუბილეო თარიღი და ამითი ქართველი ხალხის ხმაც შეეერთა საკაცობრიო ზეიმს.

ახალი ეპოქა ქართულ ენაზე შექსპირის თარგმნა-გადმოღების სფეროში იწყება მას შემდეგ, რაც ამ საქმეს ხელს ჰკიდებს დიდი ნიჭისა და მეზნებარე ტემპერამენტის მწერალი ივანე მაჩაბელი. და მეტად საგულისხმოა, რომ ქართული შექსპირიანის ახალი პერიოდის, ისე, როგორც ყოველი ახალი ქართული საქმის სათავეში, ვხედავთ ისევ ილია ჭავჭავაძეს. ი. მაჩაბლის პირველი თარგმანი იყო „მეფე ლირი“ და ეს ტრაგედია მან სთარგმნა ილია ჭავჭავაძესთან ერთად. ამ დროს ი. მაჩაბელი 19 წლის ჭაბუკი იყო და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. მისთვის დიდი პატივი იყო თანამშრომლობა ილიასთან, რომელიც იმ დროს უკვე საყოველთაოდ აღიარებული იყო, როგორც გამოჩენილი ძოღვაწე და ქართული პოეზიის ძეტრი. ბანკის საქმეებზე პეტერბურგში მყოფი ილია, ვანო მაჩაბელთან ერთად, გატაცებით შეუდგა „ლირის“ თარგმნას და ბრწყინვალედაც დაადგინგვინა ეს საქმე 1873 წელს. თანამედროვე ლიტერატორთა შორის ამ თარგმანმა უაღრესად დადებითი შეფასება ჰპოვა. საინტერესოა ამ მხრივ თვით ქართველი პირველი შექსპიროლოგის დიმიტრი ყიფიანის აზრი. კერძო წერილში ილიასადმი, მხცოვანი მთარგმნელი შექსპირისა სწერდა, რომ „მეფე ლირის“ თქვენმა თარგმანმა „სახელოვნად თავს გადიგლო კრიტიკა ულმობელი, მიუდგომელი, შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი“.

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან იყო გატაცებული დიდებული შექსპირის გენიით; ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1859 წლის ზაფხულზე, დროებით ჩამოსული სამშობლოში, იგი ტფილისის გიმნაზიის სცენაზე სდგამს ცოცხალ სურათებს „მეფე ლირიდან“. ამ ცოცხალ სურათებში მონაწილეობდნენ, სხვათა შორის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალ-ვაჟი სოფიო და დავითი, მეფე ლირი თვით ილია იყო.

ილიას მთელი შემდგომი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე განუშორებლად მიჰყვებოდა შექსპირის შემოქმედება, როგორც დაუშრეტელი წყარო მშაგონების და აზროვნებისა. ერთ დროს (1873 წ.) ის აპირებდა სპეციალური კრიტიკული შრომის დაწერას, სადაც კარალელი უნდა ყოფილიყო გატარებული ჰამლეტსა და „ვეფხის ტყაოსნის“ ტიპიელს შორის. თავის ცნობილ კამათში აკაკი წერეთელთან რუსთაველის გარშემო ილია ხშირად მიმართავდა შექსპირსა და მის გმირებს, როგორც მაგალითს ზოგად-საკაცობრიო ტიპების იდეალურ განსახიერებისას გენიოს შემოქმედის მიერ. შექსპირი მარადი თანამგზავრი იყო ილია ჭავჭავაძის გრძელი პოეტური ცხოვრებისა.

ილიასთან ერთად „ლირის“ თარგმანის შესრულების შემდეგ ვანო მაჩაბელი ჩქარა საზღვარგარეთ გაემგზავრა სწავლის განსაგრძობად. უცხოეთში ის 1879 წლამდე დარჩა. შექსპირს ივ. მაჩაბელი მხოლოდ 1885 წ. მიუბრუნდა, როდესაც ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ მზადდებოდა „ჰამლეტი“, ანტონ ფურცელაძის მიერ უხეიროდ თარგნილი რუსულიდან. ვ. გუნიას თხოვნით ლადო მესხიშვილის ბენეფისისათვის ვ. მაჩაბელს მოუყრია მზოლოდ ოფელიას და პოლონიუსის როლების თარგმანი, რომელთაც მაკო საფაროვა და ნოდარ ჯოლოყაძე ასრულებდნენ. იმავე წლის სეზონის დამლევისათვის ვ. მაჩაბელმა მთლიანად სთარგმნა „ჰამლეტი“, რომლის წარმოდგენამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

„ჰამლეტის“ თარგმანს მოჰყვა ვანო მაჩაბლის სხვა შესანიშნავი თარგმანები შექსპირიდან: „ოტელო“, „მაკბეტი“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „კორიოლანოს“, რიჩარდ მესამე“ და სხვ. ეს თარგმანები დღემდე არა ჰკარგავენ თავიანთ ლიტერატურულ ღირებულებას და წარმოადგენენ ქართული პოეტური სიტყვის მდიდარსა და ძვირფას საგანძურს. საინტერესოა ვანო მაჩაბლის აზრი შექსპირზე და მისი ტრაგედიების სცენიურ შესრულებაზე. ის ეთანხმება იპოლიტ ტენის მიერ „ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში“ გამოთქმულ შეხედულებას, რომ „შექსპირის სწორუპოვარი შესრულება შეუძლებელია, თუ აღმსრულებელს არ ახლავს მძლავრი, მადლიანი და გაბრწყინებული ტემპერამენტი. თვით „შიგნით“ არტისტს თავის ბუნებაში უნდა ჰქონდეს გიზგიზა ცეცხლი, რომ მაყურებელს მსახიობის ცეცხლისაგან ცხელოდეს და მსახიობთან ერთად ისიც დაიფერფლოს“ („კომუნ.“, 1939 წ., № 33).

ბაირონის და შექსპირის გარდა, ქართველი მწერლები მე-19 საუკუნეში დიდის ინტერესით სთარგმნიდნენ ინგლისის სხვა გამოჩენილ მწერლებსაც. უკვე 1860 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე ჩნდება დანიელ დეფოს სახელი („რობინზონ კრუზო“, დ. ხიმშიაშვილის თარგმანი), 1871 წ. „კრებულში“ ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) ბეჭდავს თავის მიერ თარგმნილ სვიფტის „გულივერის მოგზაურობას“, ოთხმოციან წლების დასაწყისში ითარგმნება ოლივერ გოლდსმიტის ცნობილი რომანი „ვეკფილდის მღვდელი“. იმავე დროს ეკუთვნის დიკენსის ქართული თარგმანებიც, რომლის მოთხრობა „შიმშილი გემზედ“ ჯერ კიდევ „ცისკარმა“ დაბეჭდა 1860 წელს. ილია ჭავჭავაძის გაზეთად გადაკეთებული „ივერიის“ ფურცლებზე 1886 წელს ვხვდებით აგრეთვე მთელს ფელეტონს შელიზე...

ასეთია მოკლედ და ერთის თვალის გადავლებით ინგლისური ლიტერატურის გამოვლინება მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ეს მიმოხილვა, ცხადია, სრული არ არის, მაგრამ საერთო წარმოდგენის შესამუშავებლად სავსებით საკმარისია. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი, ქართული პრესა, მწერლობა და საზოგადოებრივობა იმ თავითვე უდიდეს ინტერესს იჩენდნენ ინგლისელი ხალხისა და მისი დიდი და მძლავრი კულტურისადმი.

საინტერესოა, როგორ აისახა და გამოჩნდა ინგლისში ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედება, მისი ისტორია, მისი მწერლობა? ეს არის საგანი მეტად საინტერესო მიმოხილვისა, რომელსაც შემდეგ წერილში გავაკეთებთ.

კ. სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანები“

ცნობილი პოეტისა და დრამატურგის კონსტანტინე სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანები“, რომელიც გაზეთ „პრავდას“ ა.-წ. ივლისის ნომრებში დაიბეჭდა და უკვე ცალკე წიგნადაც გამოიცა, ამჟამად მრავალი თეატრის რეპერტუარში არის შეტანილი. პირველად ეს პიესა დასდგა ლენინგრადის საბჭოს სახელობის მოსკოვის დრამატულმა თეატრმა.

როგორც რეცენზენტები აღნიშნავენ, კ. სიმონოვის „რუსი ადამიანები“ გულის სიღრმემდე აღელვებს მაყურებელს და აწვევს მასში ნაღვლიან, მაგრამ ამავე დროს იმედად ფიქრებს სამშობლოს ბედ-იღბალზე. კ. სიმონოვის პიესა ხიბლავს მაყურებელს თავისი სიმართლით, სამამულო ომის მკაცრი სინამდვილის ცოდნით, სიმონოვი იცნობს ომის ვითარებას, მან გაიგო მისი აზრი, იგი დაუახლოვდა და გაეცნო ფრონტის ადამიანებს, რომლებიც იცავენ შშობლიურ მიწა-წყალს სასტიკი და თავხედი მტრისგან. უბრალო თავდაბალი საბჭოთა ადამიანი, რომელსაც მტრის შემოეჭრა ჩვენს მიწაწყალზე დაატოვებინა თავისი სამუშაო, თავისი ოჯახი, გახდა პოეტისა და დრამატურგის კ. სიმონოვის შემოქმედების მთავარ გმირად. ჯერ ლექსებში, ნარკვევებსა და ბოთხრობებში, ხოლო შემდეგ პიესაში სიმონოვი ცდილობს აღბეჭდოს იმ ადამიანის სულის სიდიადე და სილამაზე, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და მთელი არსებით სძულს მტერი, მისი მშობლიური მიწაწყლის შემლახველი. სიმონოვისთვის ძვირფასია ყველაფერი, რაც ამყღაღვნებს საბჭოთა მეომრის მაღალ იდეურ მორალურ თვისებებს: მისი სამამაცეც, მეგობრობის გრძნობაც, მისი უნაზესი სიყვარულიც სატრფოსადმი. სიმონოვმა შესძლო თავის პიესაში გადმოეცა ჩვენი მკაცრი დღეების სუნთქვა, მისი ძრისხანე სიმართლე, შესძლო ეთქვა ის, რაც დღეს მთავარი და მნიშვნელოვანია. კ. სიმონოვის პერსონაჟებში სცოცხლობს სევასტოპოლისა და ლენინგრადის ამაყი სული, სცოცხლობს სული მოსკოვის სახელოვანი დამცველებისა, რომლებმაც მტვრად აქციეს ჰიტლერელი ურდოები დედა ქალაქის მისადგომებთან.

პიესის მთავარ პერსონაჟს კაპიტან საფონოვს და მის ამხანაგებს სწყურიათ სიცოცხლე და უნდათ სიცოცხლე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავისუფალ ადამიანებად დარჩებიან, **სამშობლოს გულისთვის** და თავისი სიცოცხლის გულისათვის ისინი მზად არიან თავდადებისათვის. ერთ ალაგას საფონოვი ლაპარაკობს: „სტალინმა მიბრძანა: სდექ, საფონოვო! ერთი ნაბიჯიც კი არ გადმოსდგა უკან! მოკვდი, მაგრამ არ დაიძრა! იბრძოლე! ათი ჭრილობა მიიღე, მაგრამ ფეხი არ მოიცვალოო“. მართლაც, ყოველ მათგანს რამდენჯერმე მოუხდა პირდაპირ თვალში შეეხედა სიკვდილისათვის; მაგრამ არცერთი მათგანი არ გატყდა, არ მოიხარა. ისინი ასრულებენ თავიანთ ვალს, უბრალოდ და ბუნებრივად, რადგან ეს ასეა საჭირო, რადგან ასე კარნახობს მათ გული ჭეშმარიტ საბჭოთა პატრიოტისა.

ამჟამად კ. სიმონოვის პიესას დასადგმელად ამზადებს მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი სტანიცინისა და კნებელის რეჟისორობით. საფონოვის როლს შეასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბ. დობრონრავოვი.

კინოოპერატორი ცეცხლის ხაზზე

გაწყვეტილი სიუჟეტი

საბჭოთა ავიაციის გენერალმა მფრინავს ლეიტენანტ ვასილევს მნიშვნელოვანი საიდუმლო პაკეტი გადასცა და უბრძანა მეეტანა იგი ერთ-ერთ აეროდრომზე. ამ დავალების შესრულებას ართულებდა ის, რომ გაფრენის წინ ლეიტენანტმა ორ იცოდა, თუ ვის ხელში იყო დასახლებული აეროდრომი, ფაშისტების, თუ ჩვენი ჩაწილის ხელში.

— თუ სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდით, დასწვით თვითმფრინავი და მოსპეთ პაკეტი,—უთხრა გამგზავრების წინ გენერალმა,—ძვირად დაუჯღინეთ თქვენი სიცოცხლე მოწინააღმდეგეს!

„სოიუზკინოქრონიკის „კინო-ოპერატორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. კრიჩევსკიმ, რომელიც ზემოხსენებულ „გენერალთან იყოფებოდა, გადაიღო რამდენიმე კადრი, მათ შორის ეს სცენაც.

თუ რა დაემართა შემდგომ მფრინავ ვასილევს, ეს კრიჩევსკისთვის უცნობი დარჩა. გაიგო მხოლოდ, რომ აეროდრომი, საითკენაც ვასილევი გაფრინდა, მტრის მიერ იყო დაკავებული. რა უნდა ექნა? ეს იყო კინოსუურათი, რომელსაც აკლდა ბოლო და დასრულებული სიუჟეტი. კრიჩევსკის არ გაუმეორებია მეორე კინოფილმი, დიდხანს ატარებდა მას თავის საკასე

გურამის ბაღი

კარლო კალაძე

გურამის ბაღი გინახავთ?
აქვე, არაგვის ახლო...
მოდით, ბიჭებო, მესტუმრეთ,
არაგვისპირად ვსახლობ.

მოდით, ბიჭებო, ჭირნახულს
წამით შეავლეთ თვალი,
ნახეთ ხუჭუჭი მწვანილი
გადავარცხნილი კვალი.

ნახეთ, მწიფდება ხეხილი,
მონატრე გახდა ხილვის,
ცვარი აყრია ციმციმით,
ნაკვერცხალივით ღვივის.

ხეხილს დაკრეფდი უთქვენოთ,
ქალაქში მოსვლას ვცდიდი,
ათი წლის მაინც რომ ვიყო,
რომ ვიყო უფრო დიდი...

დედაც ვერ დავიყოლიე —
დრო საქალაქოდ არ აქვს...
მოდით, ბიჭებო, მესტუმრეთ,
ერთად შევხედოთ არაგვს.

გურამი სოფლის კაცია,
აქ ვინ არ იცნობს გურამს.
მოვის პერანგი მაცვია
და ნაბდის ქუდი მხურავს!

თქვენ ჩემი ბაღი გინახავთ?
არც გიფიქრიათ, ალბად...
ჩვილი ყლორტების შრიალიც
გასაგონია ამბად!

წელს ადრე გვიხმო დიდედამ,
გვწერდა: მარტო ვარ, ობლად.
და გაზაფხულდა თუ არა,
უმალ ვეწვიეთ სოფლად.

გამალებული ხვნა იყო,
მეც ვრბოდი ხოლმე ხნულში,
მაგრამ თან ერთი სურვილი
მიფართქალებდა გულში:

ვხედავდი, ბარით, სახნისით
კაჭაკს უთხრიდნენ ფესოს.
მე სათამამოდ, სარბენად
მმიტოვებდნენ ეზოს...

და ვმარტოობდი მოწყენით
ხეების ჩრდილში მდგარი.
მაგრამ როგორღაც მოვნახე
ტარმოტეხილი ბარი.

დავკარი მიწას, დავადგი
მძიმედ მარჯვენა ფეხი, —
მზის მიწურავმდის ვმრომობდი,
როგორც ნამდვილი გლეხი!

მამა ომშია წასული,
მტერს იგერიებს მკერდით,
„ჩვენც გამოვიჩენთ ძალღონეს“,
აკი ერთგულად ვწერდით...

მეც ჩემი ბაღჩა გავმართე,
არ დავიჩაგრე ბედით, —
ასი მტკაველი განი აქვს
სიგრძე ნაბიჯით მეტი...

რა ვიცი, რა არ დავთესე,
რა არ დავსტაყუე ბიძას,
თვითეულ მარცვალს იმედით
ფრთხილად ვუყრიდი მიწას.

გულის კანკალით ველოდი,
თავს ვადებ ყოველ ღილით
არ დაეჩრდილათ —ვშიშობდი
ხეებს თავისი ჩრდილით.

ეხლა მწვანილთა ფოთლებსაც
შრიალით გული უცემთ.
პატარა შადრევნებივით,
ღელვით აშლილან უცებ.

მაგრამ ჩემს ბაღში საზამთრო
ფალავნობს ერთად-ერთი!
სჩანს ფერად მწვანე ზოლებით
ვით მეზღვაურის მკერდი.

ჯერ ისევ ესხა ყვავილი,
ვერც კი ჩათვლიდი ხილად,
როცა პატარა ქალალდი
ყუნწზე შევაბი ფრთხილად.

დაშვენდა კიდეც წარწერა,
გულით ჩვილსა და ლამაზს:
„ომიდან გამარჯვებითა
შინ დაბრუნებულ მამას!“

იყო არაგვის ნაპირზე
სასახარულოდ რგული,
მზე დახაროდა ალხივებით,
უშაქრდებოდა გული.

დილით საამოდ დაცვარულს
ცის უსპეტაკეს ცრემლით,
ღამით ცა დაჰკაშკაშებდა,
ვით ვარსკვლავებით კრემლი!

დამწიფდა იგი, დაშაქრდა,
მამის ჩამოსვლას ელის...
სიხარულით და სიტკბოთი
შეეგებება რთველიც.

გურამის ბაღი გინახავთ
აქვე, არაგვის ახლო?
მოდით, ბიჭებო, მესტუმრეთ
არაგვისპირად ვსახლობ.

გაღაქჯიონ ჯაბიძის ახალი ლექსების წიგნი

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ახალი ლექსების წიგნი საერთო სათაურით „მშობლიურო ჩემო მიწავ“. წიგნში მოთავსებულია სამამულო ომის პერიოდში და მის წინათვეებში დაწერილ პატრიოტული და ანტიფაშისტური ლექსები. წიგნი შეიცავს 56 გვერდს და ღირს 4 მანეთი და 80 კაპ.

„ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა დოცენტ ქსენია სიხარულიძის ნარკვევი „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსთვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“. ნარკვევი ემყარება ქართულ ფოლკლორულ მასალას. ავტორს თავის წიგნში მოყვანილი და გარჩეული აქვს ქართლ-კახური, მესხურ-ჯავახური, თუშ-ფშავ-ხევსურული ლექსები ქართველი ხალხის ბრძოლების შესახებ მე-18 საუკუნეში ურუმების, ავღანელთა, დაღესტნელთა, თათართა ჯარების, აზატ-ხანის, ავარელ ხანის ნურალ ბეგის წინააღმდეგ, აგრეთვე ხალხური ლექსები ასპინძის და კრწანისის ომებზე. ნარკვევი 50 გვერდს შეიცავს და ღირს ორი მან.

დედის გული

სოლომონ თავაძე

წვიმიანი დღეები იყო, გეგონებოდათ, გორებიდან გადმოფენილი ღრუბლები ხევებსა და ველებს ძუძუს აწოვებენო. სიმინდის ყანებს, გადაშლილ ხეებზე შებარდნილ ადესას ვაზებს, ბოსტნებსა და ბაღებს ისეთი ქუფრი ელფერი ამშვენებდათ, თითქო ჭარბი საზრდოობით დაღლილან და რული მორევიათო.

ამ დილით კი ცის ლაჟვარდში ერთი ნამცეცი ნისლიც აღარსად სჩანს. მთებს გადაღმიდან ამომავალი მზის სხივი შეიჭრა ფერდობზე შეფენილ ეზოებში, და არც ერთი მცენარე, თვით პატარა ბალახიც არ დარჩენილა, რომ მიმზიდველი ეშხით არ გაბრწყინებულიყოს.

მარინემ ჭაღარა თმაზე თავსაფარი შემოიხვია, ფერმკრთალ, ნოჭიან ღაწვებზე ხელები მოისვა და ოდიდან მკვირცხლად ჩავიდა. სამზარეულოს მიაშურა, ქათმები და ინდაურის წიწილები დააპურა, ახორში ჩვილ გოჭებს მიახედა, ღორს როფში წყალი ჩაუსხა და შიგ ქატო ჩაუყარა. მერმე საუზმე მოამზადა, ხანდაზმული ქმარი, რძალი და უფროსი შვილიშვილი ყანაში გაისტუმრა. უმცროსმა, ცქრიალა, შავთვალწარბა გოგონამ ძროხა წაიყვანა საძოვარზე.

მარტოდ რომ დარჩა, ირგვლივ ჩამოწოლილი დუმილი ვერ აიტანა და უნებლიედ აღმოხდა:

— ვაი თქვენს დედას, შვილებო!

თავი გაიქნია, ღობეზე გადააბიჯა, იქვე მიყუდებული თოხი აიღო და ხეხილნარში დათესილ, უკვე თავნაყარ სიმინდში შევიდა. ჩრდილში ნაზარდი წვრილი სიმინდი აქა-იქ დაფენილიყო.

მარინე ფრთხილად აყენებს სიმინდის ღეროებს, ძირზე თოხით მიწას აყრის. გზადაგზა მსხვილ-პარკიან ქონა ლობიოს ფარჩხებს უსწორებს. გულმოდგინედ შუშაობს.

და იმავე დროს მისი გონება სულ სხვაგან ჰქრის: ორი ვაჟი ჰყავს ომში. უმცროსისაგან კარგა ხანია ამბავი არ მიუღია, უფროსი კი... აგერ მეორე თვეა შუტად შორეული ქალაქის ჰოსპიტალში წევს ბრძოლაში დაჭრილი გიორგი. ვინ იცის, როგორ არის. თვითონ კი იწერება—მალე მოვრჩები და ისევ ფრონტზე დავბრუნდებიო. ასეც იზამს. არ დაისაწყლებს თავს. იცის დედამ სიმწრით გაზრდილი შვილების ხასიათი. ისეთი მოდგმისანი არიან, თუ რაიმე საქმეს შეებნენ, უსიკვდილოდ უკან არ დაიხევენ... ყველაფერი იღბალია. ქვეყანაც ჭრელია. აგერ ლადიმეს ბიჭზე რომ ამბობენ—მოხერხებულიაო, თავი გადაირჩინაო. არა, ასეთ რამეს არ იკადრებენ მისი შვილები, არ იორგულებენ. ვინ იცის, სადაა ახლა აბესალო? რა დღეშია გიორგი? რა უყოს გამწარებულმა დედამ „ამ სამიწე გულს“, რომ არც დღე, არც ღამე, არც მუშაობის დროს არ ისვენებს. ნურც მოუსვენია, მიწა დაყრია, სანამ თავისი შვილების სიკვდილს გაიგებდეს...

თოხს დაეყრდნო მარინე, თვალები გაუშტერდა.

კაკლის ტოტზე შაშვი შეეხეხეხდა. მარინემ ცას აეხედა.

— მთლად ნუ გამოშტერდი, შე საცოდავო, სადილი არ დაგიგვიანდეს,—უთხრა თავს და სამზარეულოსაკენ გასწია.

კეცი გაახურა, ჭადი დააკრა. ხელმარდად საქმიანობდა, არ ისვენებდა. არც მისი ნაღვლიანი ფიქრები ისვენებდნენ.

ბოლოს ზღურბლზე გადაფენილ წიწილებს შესძახა გულის მოსაოხებლად:

— თქვენ გაწყდით მალე, გაწყდით!

საცაა შვილიშვილი უნდა მოვიდეს სადილის წასაღებად. მის მოლოდინში მარინე სახლის წინ ჩამოჯდა კუნძზე.

ირგვლივ დუმილია. ოდნავადაც არ ირხევიან დამტკბარი მცენარეების მოხასხასე ფოთლები.

მარინეს ფრონტი თავისებურად აქვს წარმოდგენილი. ყოველ ნაამბობს თავისებურად გარდაქმნის ხოლმე. ახლაც, ამ პირშეკრულ სიჩუმეში, ბუნდოვნად ესახება თვალწუდენელი ველები, ფართო მდინარეები და მიწასთან გასწორებული სოფლები, დანგრეული ქალაქები. ვეება მანქანები ეჯახებიან ერთმანეთს, ციდან ცეცხლის წვიმა მოდის, ზარბაზნების ყუმბარები მიწას სთხრიან... აგერ მისი აბესალო მიიწევს მტრის რაზმისაკენ, ამხანაგებს წინ უსწრებს. ტყვია სეტყვასავით მოდის, მაგრამ აბესალოს რა შეაჩერებს. ბავშვობიდანვე ასეთი შეუპოვარი იყო...

თვალს ადევნებს მარინე აბესალოს და იდუმლად ლოცულობს მისი გადარჩენისათვის... ანაზდად გულის სიღრმეში ბასრი გრძნობა იელვებს, თითქო რაღაც დანაშაული ჩაედინოს. წამსვე უფროს ვაჟთან გადაფრინდება. უცხო ქალაქის ჰოსპიტალში. მაგრამ გიორგი იქ არ დახვდება. გამოწერილა და ფრონტზე წასულა. იქნება სწორედ ამ წუთში იმყოფება ქარცეცხლში...

უცებ თითქო მეხმა გაჰკვეთაო დუმილით პირშეკრული სივრცე: რაღაცა მოსწყდა, ფოთლებში გაიშხეთქა და ხმაურით დაენარცხა მიწას.

შემკრთალი მარინე მყისვე მიხვდა, რაც მოხდა: ზედა ტოტიდან მსხალი ჩამოვარდა და ფერდობზე დაგორდა.

ფიქრთაგან გამოერკვა მარინე, მძიმედ წამოდგა. სამზარეულოსაკენ რომ გაემართა, მოუფიქრებლად გაიმეორა ჩვეული სიტყვები:

— ვაი თქვენს დედას, შვილებო, ვაი თქვენს დედას!

* * *

გიორგიმ მოსახვევში გააჩერებინა შოფერს მგზავრებით დატვირთული საბარგო ავტომობილი. ჩანთა ზურგზე მოიგდო და ჩქარი ნაბიჯით ჩაჰყვა დაღმართს. ხევამდის არ შეუსვენია, გაოგნებულივით აცეცებდა ირგვლივ თვალს, თითქო პირველად ხედავსო ამ სიყრმიდანვე თანშეზრდილი მიდამოების სილამაზეს. ცხრა დღეა გზაშია. მარცხენა ხელი დაშავებული აქვს. ჰოსპიტლის ექიმებმა შვებულება მისცეს და შინ გამოისტუმრეს.

აღმართს რომ აჰყვა და კარგა მანძილი გაიარა, მხოლოდ მაშინ შესდგა გიორგი. საოცარია, არც გზაზე, არც ეზოებში თითქმის არავინ არა სჩანს, ნამუშევარი კი... უკვე ოცდათორმეტი წლის კაცია გიორგი და არასოდეს არ უნახავს ამ არემარეში ამდენი ნაშრომი. მიწის არც ერთი ნაკერი არ დარჩენილა, რომ მზრუნველი ხელი არ შეხებოდეს. ვაზთა მწკრივებს შორისაც სიმინდი დაუთესიათ. ვაზები მტევნებით დახუნძულან. ნაადრევი სიმინდიც საამოდ გახარებულა. აგერ ეს ფერდობი, ჩირგვნარი გაუკაფავთ. რა შესანიშნავი ყანაა! ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, ყველას გაუთოკეცებია შრომა. აქაც ხომ ბრძოლის ველია...

წარბი შეიკრა გიორგიმ და გზას აჰყვა. თვალწინ წარმოუდგა ზამთარში ფრონტზე გატარებული დღეები. ქარბუქი, ყინვა, შეუპოვარი იერიში. პირველად რომ დაიჭრა, კარგა ხანს არ გაუგია გაცეცხლებულს. ბოლოს ამხანაგმა გაიყვანა ცეცხლის ხაზიდან. მალე მორჩა, ისევ ფრონტს დაუბრუნდა... ეჰ, როგორ არიან ნეტავი ახლა ბიჭები? ვინ დაეცა, ვინ სად იბრძვის?

თანამებრძოლთა მოგონებამ გული აუჩქროლა გიორგის, ღობეს დაეყრდნო, დაბლობს გადახედა.

რა სიმშვიდეა აქ და რა სიუხვე! ყველაფერი — ეს თავნაყარი ყანები, ეს ვაზები, ეს ხეხილი, — ყველაფერი ხარბად დასწფფებია დედამიწის წვენს, გალღეღულა და გულმშვიდად უღიმის ზაფხულის მზით დამტკბარ დღეს. აქ ისეთი სინარნარეა, თითქო ქვეყნად მარტოოდენ სათნოება იყოს და სიცოცხლის სიტკბო...

მრისხანედ მოუუტა გიორგიმ თვალები. ისეთი გრძნობა დაებადა თითქო მშობელი ქვეყნის ყველა არსს—სულიერსა და უსულოს — უნდა გასძახოსო:

— მტერი კარს გვადგას. მას ბრაზი ახრჩობს, რომ აქამდე ვერ გადმოანთხია თავისი ჯოჯოხეთური ცეცხლი ამ არემარეში!..

გაივლო ეს გუნებაში და გზა განაგრძო, თან უკმაყოფილო იყო თავისი თავისა, რომ ვერ გამოეთქვა ის გრძნობა, რომელიც იმ წამს აღეძრა. უსაზღვროდ დიდი რაშის შემცველი უნდა ყოფილიყო ის, რაც მას უნდა ეთქვა, იმდენად დიდის, რომ ყველაფერს, რაც ამ მშობელ მიწაზე სცოცხლობს, ეგრძნო ის მძაფრი სიძულვილი მტრისადმი, რაც მან ფრონტზე და ჰოსპიტალში გატარებულ უძილო ღამეებში განიცადა.

წყაროს რომ მიაღწია და კაკლის ჩრდილში მდელოზე ვერავინ დაინახა, მღელვარებამ აიტანა: მთლად ხომ არ დაცლილა სოფელი! შინაც არავინ დახვდება, არც ცოლ-შვილი, არც დედ-მამა.

ჯერ ნაბიჯი დაუმძიმდა, მერე ისევ აჩქარდა. აგერ ჭიშკარი. ეზოში არავინაა. მსხლის ქვეშ უღლიანი ღორი იჩიჩქნება.

ჭიშკრის ჭრიალს მოჰკრა ყური მარინემ, სამზარეულოდან გავიდა, კართან შედგა, ხელით თვალები მოიჩრდილა.

— დედა, შვილო, გიორგი!..

დედა-შვილური ალერსისა და კითხვა-პასუხის შემდეგ მარინემ ვაჟს ხალათის სამაჯე შეუხსნა, მკლავი გაუშიშვლა და ნაჭრილობებს დააკვირდა.

თითებს ჯერ კიდევ ვერა ხრიდა გიორგი, მაჯაც გაშეშებოდა. იდაყვიდან მოყოლებული რამდენიმე ადგილას ამოღრმავებული ჰქონდა, თითქო შანთით ამოუწვავთო. ნაიარევზე ჩვილი, აგურისფერი კანი დაჭმუჭვნილად გადაზრდოდა.

ნაზად, ნაზად მოუსვა ხელი მარინემ ამ საოთუთ კანს. მეტის-მეტად ეუცხოვა იგი. წამსვე შეიგრძნო შვილის მიერ გამოვლილი წამება, და ნთლად დაინახა, დედის გულმა დაინახა, რომ არ შერჩება მტერს ამ მშრომელი მკლავიდან დაღვრილი სისხლი, სამართლიანი შურისგების დიდ ტალღას შეუერთდება იგი და ის ტალღა წალეკავს სისხლით გაუმაძღარ მტარვალებს.

ლეონიდ სობოლევის მოთხრობები

გამომცემლობა - „გოსლიტიზდატმა“ გამოსცა ლეონიდ სობოლევის იმ მოთხრობების კრებული, რომლებიც ბრძოლა ომის პერიოდშია დაწერილი და რომლებიც უმთავრესად საბჭოთა მეზღვაურების ყოფა-ცხოვრებასა და გმირულ თავგადასავალს გვიხატავენ. კრებულში, რომელსაც „ერთი წადილი“ ეწოდება, შეტანილია ნოველები — „ბულბული“, „პარიკმახერი ლეონარდო“, „ყველაფერი ნორმალურია“, „თავის დროზე ან რამდენადმე დაგვიანებით“, „ქართული ზღაპრები“, „ცისფერი შარფი“, „საცოლე“ და სხვ. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ ის მოთხრობები, რომლებიც გვიხატავენ საბჭოთა წყალქვეშა ნავების თავგანწირულ მუშაობას ზამთრის მკაცრ პირობებში. რამდენიმე გვერდზე ავტორი გვაძლევს სრულ წარმოდგენას საბჭოთა წყალქვეშა ნავების კოლექტივის მწყობრ, შეთანხმებულ მუშაობაზე, კომისრებისა და მეთაურების მეგობრობაზე, იმ ადამიანების არაჩვეულებრივ გაწრთვნილებასა, გამბედაობასა, თაოსნობასა და მიხვედრილობაზე, რომლებიც ასრულებენ ურთულეს და უმძიმეს საბრძოლო ოპერაციებს. „ყველაფერი რიგზეა“ — ეს არის საყვარელი გამოთქმა წყალქვეშა მებრძოლებისა, რომლებიც ყოველდღიურად ჩადიან ვმირულ საქმეებს.

კონსტანტინე ნიკოლაძე

14 აგვისტოს გარდაიცვალა ძველი მწერალი და ჟურნალისტი კონსტანტინე ნიკოლაძე. კონ. ნიკოლაძე დაიბადა 1860 წ. იგი პირველი ქართველია, რომელმაც საშუალო განათლება მიიღო ევროპაში, ჟენევაში, სადაც 70-იან წლებში მისმა ძმამ, გამოჩენილმა ქართველმა პუბლიცისტმა ,ნიკო ნიკოლაძემ, სერგეი მესხმა და გიორგი წერეთელმა ჩამოაყალიბეს მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის საზოგადოება „უფელი“. კონ. ნიკოლაძე ამ საზოგადოების წევრი გახდა. ჟენევიდან დაბრუნებული 80-იან წლებში იგი შედის პეტერბურგის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. 90-იან წლებში ბრუნდება სამშობლოში და მონაწილეობას იღებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „დროებაში“, „ივერიაში“, „მოამბეში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვ. იგი სწერს ლექსებს, ფელეტონებს, თეატრალურ რეცენზიებს და თარგმნის უცხოელი და რუსი მწერლების ნაწერებს. მის კალამს ეკუთვნის პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და სხვ. რუსი მწერლების თარგმანები. კონსტანტინე ნიკოლაძე არის ერთი პირველი მთარგმნელთაგანი ინგლისელი კლასიკოსის დიკენსისა. (დიკენსის მოთხრობის „რაშია ბედნიერების“ კონ. ნიკოლაძის თარგმანი დაიბეჭდა ჟურ. „მოამბეში“, 1895 წ. № 1).

უკანასკნელად კ. ნიკოლაძემ დასწერა მცმუარები, რომლებშიც ასახულია 70-იანი წლების ჩვენი ახალგაზრდობის ყოფნა ევროპაში და ცნობილი ქართველი მწერლების ილია ჭავჭავაძის, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, ანტ. ფურცელაძის, ილია ხონელის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო მომენტები. ამ მოგონებების ერთი თავი იბეჭდება „ლიტერატურის მატიანეს“ მორიგ ნომერში, რომელიც ახლო მომავალში გამოვა.

ძ ვ ლ ე ბ ი

არჩილ ჩაჩიბაია

ვერა, ვერაფერი ამომლის გულიდან მის სიცოცხლით სავსე მხიარულ სახეს, მისი ჭკვიანური თვალების გამოხედვას, მის გამბედაობას, მის გმირობას. აი აქ, ამ მწვანეში, მდინარის ნელ ჩუხჩუხში, ოქროსფრად მობიბინე პურის ყანებში ყოველთვის ისმოდა მისი კისკისი, გარმონისა და მანდოლინის ტკბილ ხმებს აყოლილი სილაღისა და მხიარულების სიმღერა. სულს სწვდებოდა, გულს ატკბებდა, შეუცნობელ ტკბილ ოცნებაში და აღტაცების მომგვრელ გრძნობებში გეფლობდა მისი მოჭადოვებელი ხმა. ამ ხმაში, ამ სიმღერაში ჯადოსნურად იყო ჩაქსოვილი მშობლიური მიწის სიყვარული, ახალგაზრდული გატაცება და სილაღე. მის სიმღერას ნელ-ნელ შეუერთდებოდა ხევებს იქით ლურჯად გაშლილი ზღვის ტალღების ხმაური, ხოლო იქიდან, იალქნიანი ნავებიდან, ნაპირთან წყალში ჩაყვინთულ არძანებიდან მას ესმოდა ახალგაზრდების სიყვარულით სავსე სიტყვები.

— გალია, გალიუშა, საყვარელო, ძვირფასო!

მაგრამ ეხლა არც ის ახალგაზრდები ჩანან და არც იალქნიანი ნავები. არც გალიას ხმა ატკბობს ამ მიდამოს, ახალგაზრდები სამხედროელად წავიდნენ, ზღვის უსაზღვროებაში პირქუში ხომალდების სალეტები თუ გამოჩნდებიან და მღვრიე ბინდში ჩაიძირებიან, გაჭკრებიან. ფირუზისფერ ცის მყუდროებას, სადღაც შორს, დიდ სიმაღლეზე თვითმფრინავების გუგუნი ბზარავს, ხოლო აქ, ამ მწვანეში, ბაღჩაში ჩადგმულ გალიას თეთრ სახლთან ყუმბარები ჰფლეთავენ ყველაფერს, ფერდობშელეწილი შენობები დელაქარიკივით წამოჩოქილან. იწვის მშობლიური მიწა.

— გალია, გალიუშა, ძვირფასო და საყვარელო!—მინდა შეეძახო, მაგრამ გალია, ჩემი სიყრმის მეგობარი, ჩემი გულის სიხარული და აღტაცება, არსადა სჩანს, არც შინ ხმა ისმის, დაპირებისამებრ არ გამოჩენილა. ამან კი ათასგვარი ფიქრი ამიძრა.

მაინც რას ნიშნავს ეს? რატომ არ შეასრულა თავისი სიტყვა? ნუ თუ გადავავიწყდი? ნუ თუ არ უნდა, რომ შემხვდეს? არა, ამისი გაფიქრებაც არ შეიძლება. ღიაღ. არ შეიძლება! ძე ვიცი, ჩემი გალია, ჩემი გალიუშა თავის სიტყვას ყოველთვის შეასრულებს. მწამს ეს. მჯერა ეს. მაგრამ რომ არა სჩანს! არ ვიცი, რა ვიფიქრო, არ ვიცი, რას მივაწერო. ნუთუ არაგინ იცის მისი ამბავი? რატომ არაფერს მეუბნებიან? იქნება მკვდარია, იქნეს სადმე ნანგრევების ქვეშ მოჰყვა და შეელას ითხოს? არა, უთუოდ ცუდი ამბავია. უთუოდ რაღაც უბედურებაა, თორემ აქამდე გავიგებდი რამეს, დალახვროს, ეშმაკმა, ეს შაი აზრები მაინც რად ამეკვიატნენ, რად არ შშორდებიან? საოცარია! როგორ წამომეძალნენ და ღრმად იჭრებიან გულში, გესლიანად ღრღნიან და კორტნიან გულს, მაშფოთებენ, შეუცნობელ მოლოდინსა და ბოღმაში მაგდებენ, მიფორიაქებენ გუნებას.

აბოლებულ ქუჩებში, მოსახვევებში დადიან განაწამები ადამიანების ფერმიყეული სახეები, ეძებენ ბავშვებს, ნათესავებს, სახლებს, მაგრამ ფერფლისა და გარუჯულ ღუმელებს გარდა არაფერი ხვდებათ. როგორ შესცვლია ყველაფერს პირველდელი სახე! თითქოს ცეცხლის ქარიშხალს გადაუვლია მშობლიურ მიდამოებში და ფერფლის ბურნში, ნახშირის ხვავში სოფლის შავი სილუეტი გარინდულა.

გულს ვერ ვიმორჩილებ. ვდელავ. თუმცა ვიცი, აღელვება საჭირო არ არის, არას მარგებს, მაგრამ რა ვქნა, ჩემი სულის წიაღში აღძრულმა მოუთმენელმა თრთოლვამ თანდათან შემიპყრო და საშინელი გრძნობა დამეუფლა. ვცდილობ თავი შევიმაგრო, მაგრამ ვერა შეიძლება სხვაგვარად მოქცევი, განა შეიძლება არ აღელდე, როდესაც მშფენიერი, ლამაზი მშობლიური კუთხე ეხლა მხოლოდ ლანდებს და მოგონებებს შეიცავს?! ნაბიჯარიდან შემძრწუნებლად ჰკვეთავს სივრცეს დასახიჩრებულის გულნაღვლიანი წყვეტა-კრუნჯა. სადღაც ქალი მწარედ მოსთქვამს თავგანგმირული შვილს გვამზე თავდამხობილი, ხოლო მოშორებით ზარბაზნების გამაყრუებელი ხმები აზანზარებენ სივრცეს და აფეთქების მღვრიე ბოლი შენობებსა და ხეებს შორის დაიზლაზნება.

განაწამებ ადამიანთა ფერმკრთალი სახეები თითქოს ჯიუტად მომაჩერდებიან, მიყურებენ, თითქოს უცნაურად მათვალიერებენ. ერთბაშად შეჩერდებიან კიდეც, თითქოს რაღაც სურთ მითხრან, მაგრამ.. თავს ჩაღუნავენ და ისევ უხმოდ განაგრძობენ გზას, ეძებენ დაკარგულთ, დაღუპულთ.

მეც, დიაღ, მეც ვეძებ განთავისუფლებულ სოფელში ჩემს გალიას, ჩემს გალიუშას. მეც მინდა ამ წუთებში გადავეხვიო, მხურვალედ ვეამბორო მის ნათელ სახეს, ყველაფერი გამოვკითხო, მივუოლიო განთავისუფლება. მჭურვალედ ჩავიკრა გულმკერდში და მოვუშუშო ტკივილები. ცრემლები მე თვითონ ამოვუწმინდო თვალებიდან და შურისსაძიებლად ჩემთან ერთად წავიყვანო.

დიაღ, მეც მსურს, ან ეხლა შემხვდეს ჩემი გალია, ჩემი გალიუშა, გადავეხვიო, გადავკოცნო მისი ნაღვლიანი თვალები, აი ისე, როგორც ამ ამოლებულ ქუჩებსა და მოსახვევებში დაფერფლილ სახლების წინ სიმწარისაგან, ტანჯვისაგან თვალაცრემლებული ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს, ეხვევიან ერთმანეთს ამდენი ხნის უნახავნი და სიხარულისაგან თვალებში ცრემლებიც კი ერევათ. მაგრამ... არა, ის არსადა სჩანს, არც არავინ არაფერს მეუბნება.

წინ წავიწიე. თვალწინ შენობების გარუჯული ჩონჩხებია აყრილი, ჩამწვარი ფანჯრები დათხრილი თვალებივით ამოღრმავებულან და შავი გრუხა ბოლი დაწეწილ შავ ფარდასავით მიიზლაზნება ცისაკენ.

ამოლებულ ნანგრევებიდან თითქოს მოჩვენებასავით წამოდგა ბაბუა ტოლუხი. დიაღ! ის ბაბუა ტოლუხია, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, თეთრწვერიანი, მამაპაპათა გმირულ ბრძოლებზე რომ მესაუბრებოდა ყოველთვის. მე ის ვიცანი და სიხარულისაგან აღტაცებულმა ფეხდაუკარებლად დავსძლიე ნანგრევების ბრხილი სიმაღლეები.

ნანგრევებზე ის ცოცხალ-მკვდარივით იდგა. მარცხენა ხელი მჩარავით ეკიდა, ვერ ამოძრავებდა, მოეგრიხათ, ხოლო მარჯვენა ხელით ქვას ეყრდნობოდა, რათა არ დაცემულიყო. შუბლზე, ფართო და მაღალ შუბლზე, ჩამოწოლილი ჰქონდა ხელისგულის ოდენა კანის ნაფლეთი, ხოლო სახეზე, წვერზე შავად ჰქონდა შემხმარი ჩამოდენილი სისხლი.

— გლებ!.. გლებ!..—ხმისკანკალით ამოძახიალა მოხუცმა და მისკენისთანავე ერთბაშად, თითქოს ძვლების მშრალი ჩხარუნით აღმართა ბაბუა ტოლუხის მაღალი ფიგურა. ძლივს-ძლივობით ასწია მარჯვენა ხელი. არა, ეს ბაბუა ტოლუხის ძარღვიანი, მსხვილი ხელი როდი იყო, ეს იყო ერთმანეთზე დაკიდებული გრძელი ძვლები. მთელი სხეულით ცახცახებდა, თავს ძლივს იმაგრებდა, და როდესაც ხელი წელში ჩავსჭიდე, უღონოდ მომეყრდნო.

— გლებ!.. გლებ!—ძლივს ჩურჩულებდა იგი.

მე მხოლოდ მის კანკალს და ჩემს ლოყებზე მის ჩაღამებულ, ჩაცვივნულ თვალებიდან ჩამოღვრილი ცრემლის ნაკადს ვგრძნობდი.

— გლებ! ჩემო ბიჭუნავ, ცოცხალი ხარ?!—მომკვდავის ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ბაბუა ტოლუხი, თან მკოცნიდა, იცრემლებოდა და მთელი სხეულით კანკალებდა.

მის სანთლისფერ სახეს, მის დალეწილ სხეულს და უღიმღამო თვალებს რომ შევსცქეროდი, გული მეთანაღრებოდა. თვალებში ცრემლის წვეთები ვიგრძენი—ნუთუ ეს ბაბუა ტოლუხია, ასე ძვლებად ქცეული, შუბლჩამტეხილი! მინდა ყველაფერი გამოკითხო, მაგრამ მერიდება, იქნებ ამან უფრო შეაწუხოს, კვლავ მოაგონოს ტანჯვის საშინელი წუთები. სანთლისფერი სახე თითონ მეუბნება მისი წვალებისა და მძიმე წკლუტების შესახებ, მაგრამ გალიაზე აკეიატებული შავი ფიქრები კვლავ აიმძიძავენ გულისწამღებ შავნაღვლიანობას და ვეღარ ვითმენ.

— ბაბუა, გალია სად არის? არ გინახავს, სად წავიდა გალია, გალიუშა?

ბაბუა ტოლუხი ერთბაშად შეიმართა, ჩაბღეჯდა, ცრემლმორეულ თვალებს ცრემლი წესკდა და წამოიძახა:

— გლებ! გლე-ებ! ნუ მკითხავ, ნუ!... ნუ, ჩემო ბიჭუნავ! აი... იქ წამიყვანე... ალბათ, გალიაც იქ არის!—მიმითითა ხელით და, უბედურებას უკვე მიხვედრილმა, ბაბუა ტოლუხის ჩონჩხი ხელში ავიტაცე და მოუმენლად გავექანე იქითკენ, საითაც ბაბუა ტოლუხს გაეშვირა ცალი ხელი.

ბაბუა ტოლუხის ძვლებად-ქცეული ტანი ძალზე მჩატედ მეჩვენებოდა და სულისმოუთქმელად მივისწრაფოდი. გზაში დაფერფლილ, ბოლარხრჩოლილ სახლებთან კვლავ იდგნენ ხიზნობიდან დაბრუნებული მოსახლეები, კვლავ თვალცრემლიანი ჩასჩერებოდნენ გაპარტახებულ მშობლიურ მიდამოებს. მაგრამ წითელი არმიის ნაწილები რომ გაიელიდნენ, თითქოს ერთი წუთით ავიწყდებოდათ სიმწარე, მებრძოლებს უღიმოდნენ, ჰკოცნიდნენ, გზას ულოცავდნენ.

მეც, დიაღ, მეც, სულ რამდენიმე საათიღა დამჩენოდა თავისუფალი; მეც მალე უნდა წავსულიყავ სოფლიდან და დროის სიმცირის გამო უფრო ვჩქარობდი. ასე გაჩქარებით რომ მივდიოდი, ყველა რაღაც განსაკუთრებულად მიკქერდა. ვგრძნობდი ათასი თვალის თანაგრძნობას და ალერსს.

— მთი იციან გალიას ბედი, მაგრამ რატომღაც არ მეუბნებიან, თავს იკავებენ. ეს მაფიქრებს, ათასგვარ აზრებში მხვევს ეს.

მოსახვევში გარკვევით მომესმა, დიაღ, ჩემს გასაგონად იყო ნათქვამი—საწყალი!

ეს სიტყვა გულს ტყვიასავით მოხვდა.

საწყალი? მერე და მე რატომ უნდა ვიყო საწყალი? რატომ ჩამილაპარაკეს ასე? არა, მე საწყალი არა ვარ! მე მებრძოლი ვარ. რა ვუყოთ, მერე, გულს თუ ვერ ვიმორჩილებ! რა ვუყოთ. მერე, გალიაზე ამდენს თუ ვფიქრობ! რა დასამალია, მე იგი მიყვარს, დიაღ, მიყვარს! მე ხომ ადამიანი ვარ და გული მაქვს. დიაღ ასეა, რატომ უნდა ვიყვე საწყალი?.. ჩემს ძვირფასს, ჩემს საყვარელ, ჩემს გულის ნახევარს გალიუშას ვეძებ და იმიტომ ვარ საწყალი? არა, ეს სიტყვა ჩემს მიმართ არ იყო ნათქვამი, არა!—ვფიქრობ ასე და მივიწევ წინ.

ბაბუა ტოლუხის ძვლები თითქოს თანდათან დამძიმდნენ, მაგრამ უკანასკნელ ძალღონეს ვიკრეფ. ჩემს მხრებზე კვლავ ჩხარუნობენ ბაბუა ტოლუხის გამომშრალი ძვლები.

— უბედური!—კვლავ ჩაილაპარაკა ვიღაცამ და შესაბრალისი სახით მომაჩერდა, — ალბათ, არ იცის!—განაგრძო ისევ იმავე ხმამ.

ეხლა კი გულში თითქოს ერთი ძარღვი ჩასწყდა. მთელს ტანში ციმა ჟრუანტელმა დამიარა, თითქოს მუხლები მომეკვეთა. მაგრამ თავი შევიმაგრე და კვლავ წინ გავსწიე.

აი ახლოს, სულ ახლოს ხალხი შეჯგუფულიყო, ერთი ახალგაზრდა მორზე შემდგარიყო და ამბობდა:

— ჩვენივე ხელით, თვითონ ჩვენ უნდა გავეულტოთ ჩვენი სამშობლოს მტრები! თვითონ ჩვენ და სხვა არავინ იძიებს შურს! თვითონ ჩვენ და სხვა არავინ შესძლ